№ 40 23 თებერვალი, ხუთშაბათი 1866—1878 23 თებერვალი, ხუთშაბათი № 40

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. სა 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: ... ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ციფრთათი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება"

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი. *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба."*

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., 1/2 წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

რედაქციისაგან

თუმცა თითქმის მუდამ დღე არის ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, რომ ნახევარის წლის გაზეთის ფასი არის 4 მან. და ათი შაური, მაგრამ ზოგიერთი ხელის-მომწერლები მაინც კიდევ მარტო 4 მანეთს აგზავნიან.

ამის გამო საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ რომ იმ ხელის-მომწერლები, რომელთაც ნახევარი წლის ფასად 4 მანეთი შემოუტანიათ, თუ დანარჩენ ათ შაურსაც არ შემოიტანენ, 1 ივნსს მოესპობათ გაზეთის გზავნა.

ტელეგრამმები

ლონდონი, 20 თებერვალს. მორიგების შეკვრის ამბავი აქაურ გაზეთებს ძალიან არ ეჭაშნიკათ. გაზეთი „Times" ამბობს, შეცდება ის, ვინც იფიქრებსო, რომ ახლა მშვიდობიანობა დამყარებული არისო და ომს აღარ უნდა მოველოდეთო. რუსეთმა ყოველი კავშირი უნდა გაწყვიტოს ახლა ევროპასთან. საფიქრებელია, რომ ის (რუსეთი) არ მოინდომებს ისეთი პირობების შეკვრას, რომელზედაც ინგლისი არ დათანხმდება. „Morning Post" „Standard" და სხვა გაზეთები შიშით შეჰყურებენ ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას და კითხულობენ—რას იქს ახლა ინგლისის მმართებლობა ბრიტანიის ინტერესი დასაცველადაო? გაზ. „სტანდარ" ურჩევს მმართებლობას, რომ დარდანელის წყალი შეჰკრას და ეგვიპტე დაიჭიროს თავის ჯარებით. „Daily Telepraph" ურჩევს მთავრობას, რომ ენერგიულად მოემზადოს ომისათვის.

პეტერბურღი, 21 თებერვალს. სასიამოვნო ამბავი, მტერთან შერიგების თაობაზე, ელვასავით მოეფინა გუშინ მთელს ქალაქს და თუმცა ცუდი დღე იყო, მაგრამ ქუჩები, მაღაზიები და სახლები გაჩაღებული იყო და ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

პეტერბურღი, 21 თებერვალს. „მმართებლობის მოამბეში" გამოცხადებულია შემდეგი ტელეგრამმები:

სოფიის ღუბერნატორის სამხედრო მინისტერთან:

„ქალაქის სოფიისა და მთელი იმის მაზრის ხალხი, თავის მიტროპოლიტის პირით გთხოვსთ, უმუამდგომლოთ ხელმწიფესთან და მიულოცოთ იმას ტახტზედ ასვლის დღესასწაული, აგრეთვე გამოუცხადოთ საუკუნო მადლობა, მთელი ამ ქვეყნის განთავისუფლებისთვის."

სულთანის ტელეგრამმა ხელმწიფე იმპერატორთან მიწერილი:

„სტამბოლი, 19 თებერვალს. ვსარგებლობ ამ თქვენს ტახტზე ასვლის დღესასწაულით, რათა მოგიძღვნათ თქვენ ჩემი მოლოცვა და ამ შემთხვევით განვახლო ჩვენი მეგობრული დამოკიდებულება."

ხელმწიფე იმპერატორის ტელეგრამმა ოსმალეთის სულთანთან:

„გმადლობთ, თქვენო იმპერატორებით უდიდებულესობავ, კეთილ გრძნობის გამოცხადებისათვის. თქვენი მოლოცვა მივიღე იმავე დროს, რა დროსაც მომივიდა ამბავი მორიგების შეკვრაზედ და ამაში ვხედავ საწინდარს ჩვენი საუკუნო მეგობრობისა და კეთილ განწყობილებისა."

რომი, 21 თებერვალს. დღეს დაგვირგვინდა აქ რომის პაპი ლეონ მეცამეტე.

ომის ამბები

ომისთვის მზადება

ლონდონიდამ მიღებული ტელეგრამმები ვერ დაამშვიდებენ იმ პირთ, რომელთაც ჰგონიათ, რომ ეს ომი შეწყვეტილია და ევროპაში მშვიდობიანო- ჩამოვარდაო. იქაურს საზოგადოებასადა გაზეთებს რუსეთისა და ოსმალეთის მორიგების გაგება ეტ-ყობა საამოთ და ინგლისისათვის სასარგებლო საქმეთ არ მიაჩნიათ ისეთი ბრძნული და წინ-დახედული გაზეთი, როგორიც „Times", ისიც კი თითქო გაჯავრებულა ამ შერიგების გამოისობით და ამბობს, რომ „რუსეთმა ყოველი კავშირი უნდა გასწყვიტოს ახლა ევროპასთანაო; საფიქრებელია, რომ. რუსეთი არ მოითხოვს ისეთის პირობების უეჭველად სისრულეში მოყვანას, რომელზედაც ინგლისს არ შეუძლიან დათანხმდესო". სხვა გაზეთები კი პირდაპირ ურჩევენ მმართებლობას, რომ დარდანელის გზა შეჰკრას და საჩქაროთ მოემზადოს რუსეთთან საომრად.

—

ინგლისის სამხედრო მინისტრისაგან გამოცემულის ანგარიშიდამ სჩანს, რომ ინგლისს ჰყავს ამ ჟამად შემდეგი ჯარები: 184,000 ვოლონტერი, 126,550 მუდმივი ჯარი, 34,000 რეზერვის ჯარი, 100,000-მდინ მილიცია, 10,000-მდინ ცხენისანი მილიცია,—სულ 518,000 კაცი. აქედამ რომ ვოლონტერები (რომელნიც ინგლისს გარეთ არ წავლენ) და ინდოეთის ჯარი გამოვრიცხოთ, გამოვა, რომ ინგლისს ჰყოლია ამ ჟამად 375,000 კაცი, რომლიდამაც მხოლოთ ერთი მესამედია რეგულიარული ჯარი.

ინგლისური გაზეთი „ტაიმსი" ამბობს, რომ იმ დღესვე, რა დღესაც ომი იქნება გამოცხადებული, ინგლისს შეუძლიან 75,000 ჩასვას ხომალდში და სრულებით დამზადებული და ჩინებულად დაიარაღებული გაგზავნოს ბრძოლის ველზედაო; და ერთის თვის განმავალობაში კიდევ ამდენიმე ჯარის გამოყვანას მოახერხებსო.

—

გაზეთს „Indép. Belge"-ში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა 14 თებერვალს ბერლინიდამ მიღებული:

„გასულს შაბათს თ. ბისმარკთან იყვნენ შეკრებილნი დიპლომატები და გერმანიის პარლამენტის გავლენიანი წევრნი. ამ შეკრებილებაში თ. ბისმარკმა

სთქვა, რომ საქმე ისეთ ნაირად მიდისო, რომ ინგლისსა და რუსეთს შუა ადვილად შესაძლებელია განხეთქილება ატყდესო. თ. ბისმარკი დარწმუნებულია, რომ არცერთი ამ სახელმწიფოთაგანი არ დაუთმობს მეორეს და აქედამ შეიძლება წარმოსდგეს ამათ შუა დარდანელში და ბოსფორში შეტაკებაო.“

—

ამავე გაზეთის ვენელი კორრესპონდენტი ამბობს, რომ ავსტრო-ვენგრია ამ ჟამად ძალიან უკმაყოფილოდ არის რუსეთზე, ძალიან არ ეჭაშნიკება ამას რუსეთის პირობები და ამის გამო პოლიტიკური გარემოების მცოდნე პირები დარწმუნებით ამბობენო, რომ რუსეთსა და ავსტრიას შუა ბრძოლის ატეხა მოსალოდნელიაო.

შერიგების თაობაზე

ჯერ წიდევ არ მიგვიღია მორიგების პირობები რუსეთსა და ოსმალეთს შუა; მაგრამ რუსული გაზეთები დარწმუნებით ამბობენ, რომ რუსეთისაგან წარდგენილი პირობები ის არის, რომელიც „რეიტერის სააგენტომ“ გვაცნობაო (ეს პირობები „დროების“ № 36-ში იყო მოყვანილი).

ამ საგნის შესახებ რუსულ გაზეთს „ახალ დროებაში“ დაბეჭდილია ვიღაც „დიპლომატის“ სტატია, რომელშიაც შემდეგი სტრიქონებია მოყვანილი:

„ევროპის მოთხოვნილებით რუსეთს შეუძლია დაუთმოს თავის პირობებიდამ შემდეგი მუხლები: დარდანელის წყალში ხომალდთ გასვლა-გამოსვლის უფლების გადაწყვეტა ევროპის კონგრესს მიანდოს; უფრო ცოტა მიწა ჩამოჭრას ოსმალეთს სერბიისა და ჩერნოგორიისათვის; ჩვენც უფრო ნაკლები მიწა მოვსთხოვოთ სომხეთში (მცირე აზიაში) და აგრეთვე ხელი ავიღოთ ოსმალეთის ფლოტისაგან.

„და ამნაირად მხოლოთ ომის ხარჯის (კონტრიბუციის) გამორთმევა და ყარსისა და ბათუმის დასაკუთრება იქნება ჩვენთვის ჯილდოთ იმ უანგარიშო მსხვერპლისა, რომელიც ამ ომში მოვიტანეთ ჩვენ.“

—

ფრანცუზულს გაზეთს „Le Temps“-ს სწერენ ვენიდამ:

„ავსტრიის პირველი მინისტრის ანდრასჩის სიტყვით, ევროპის სახელმწიფოების კონგრესი მომავალი თვის მარტის შუამდინ შეიკრიბება ქ. ბადენ-ბადენში. ამბობენ, რომ ამ კონგრესის თავს-მჯდომარედ თ. ბისმარკი იქნება ამორჩეულიაო“

—

გაზეთი „Daily News“-ის ზიმნიცელი კორრესპონდენტი იწერება, რომ იმან დაიარა რუსის ლოშპიტლები ზიმნიცსა და ბალკანის მთებს შუა და ნახა, რომ ამ ლოშპიტლებში სწევს ამ ჟამად 23,000 ავათმყოფი და დაჭრილები, რომელთაგან მომეტებული ნაწილი სულ სახადით არიან ავათო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ალექსანდრაპოლი, 18 თებერვალს. („დროების“ კორრესპონდენცია). ამ სამიოთხი დღის წინათ ალექსანდრაპოლის ერთს მაედანზე ვნახე დიდ-ძალი ჩალვადრები თავის ცხენებითა და საკოჭავებით (თოკებით). მათის ტანს-ჩაცმით მივხვდი, რომ იგინი იყვნენ ახალციხის და ახალქალაქის უეზდისანი და კიდევაც დავრწმუნდი ამაში, როდესაც ერთმა თათარმა ჩალვადარმა დაუყვირა ქართულათ შორის მყოფ ამხანაგსა: „ბიჭოოო ალი! ჩემი საკოჭავები რა უყავი?“ და მეორემ უპასუხა: „პეტემ წაიღო, პეტემ!“ მივედი მათთან და შემდეგ „გამარჯობისა“ დავეკითხე:

— სადაურები ხართ, ძმებო?

— ახალციხელები, შენი ჭირიმე! მიპასუხა ერთმა მათგანმა.

— რა საქმეზე მოსულხართ აქა?

— ფოდრაჩიკების ქერები მოვიტანეთ, შენი ჭირიმე, ახალქალაქიდგან და ახლა უნდა ავიღოთ ყარსისაკენ.

—ვინ არის თქვენი ფოდრადჩიკი?

—ერთი თფილი-ქალაქელია, პირველი ზენგინია შენი ჭირიმე, სახელი..... იმ, დამავიწყდა, ახ ღმერთო მომაგონე...... ჰო! ირზოევი, ირზოევი, შენი ჭირიმე, ირზოევი; იმას ჰყავს ამხანაკად, ჩვენებურია, ახალციხელი, ისიც ზენგინია, შენი ჭირიმე, თუ მოგეხსენებათ ბეზ...

— რამდონი ხართ სულ?

—სულ ვართ, შენი ჭირიმე, ათასი; ჰმა ჯერ არ მოსულან ყველანი: ჩვენს უკნიდამ ბარე ორასი კიდევ უნდა მოვიდნენ?

—რას გაძლევსთ თვეში, ან რამდენი თვითა ხართ დაჭერილი?

—ჩვენა, შენი ჭირიმე, სამი თვითა ვართ შეკრულნი ქალალდითა; თვეში ოც-დაათი მანეთი უნდა მოგვცენ; ორი თვისა ფეშინ-ფეშინი (ხელში ფული) მოგვცეს, და მესამისა ჯერ არა. მაგრამ ეჰ, ბატონო, ფიშმანსა ვართ, რომ წამოვედით!

ფელტონი

ბაზრის სცენები

I

(თამამშოვის ქარვასლასთან შეშით დადებული ურმები სდგას გასასყიდათ; პატრონებიც გვერდით უდგანან).

ვ ა ჭ ა რ ი. (ერთს სოფლის კაცს) ბიჭო, მაგ შეშას ჰყიდი?

გ ლ ე ხ ი. მა რა...

ვ ა ჭ ა რ ი. მერე, როგორ აძლევ?

გ ლ ე ხ ი (ამაყათ). თვრამეტ მანათად.

ვ ა ჭ ა რ ი. ერთს ურემს გევაჭრები, სამს ხომ არა....

გ ლ ე ხ ი. მეც ერთის ფასს მოგახსენებ.

ვ ა ჭ ა რ ი (გაოცებით). ვა! გძინავს?!.. გაიღვიძე, და!...

გ ლ ე ხ ი (ჩაიცინებს და ხმას არ იღებს).

ვ ა ჭ ა რ ი. შენვე რო გეცინება, ალბათ ხუმრობათ ლაპარაკობ.

გ ლ ე ხ ი. რა ვქნათ, შენი ჭირიმე, მაზანდა ასეა, გადის და ვყიდით... ბეზირგანი კაცი ბძანდებით, თქვენც უბოძეთ...

ვ ა ჭ ა რ ი (წყენით). შენც ნაკლებ მიე და ნაკლებ გავა..

გ ლ ე ხ ი. ნეტავი დედი ჩემის ყოშებსა!... თუ გნებავს ეს არის, თუ არა და შენთვის მიბძანდი.

ვ ა ჭ ა რ ი (გლეხს) გიჟე?!.. თითო ღერი მანათათა?...

გ ლ ე ხ ი. მე რა ვიცი მანათათ მოვა, თუ აბაზათ....

ვ ა ჭ ა რ ი. ტუტუცო, დათვალე და შაიტყობ..

გ ლ ე ხ ი. დათვლილიცა მაქვს, შვილოსა, გაზომილიცა და აწონილიცა...

ვ ა ჭ ა რ ი. ჰო...ო...ო, ვაცხონე მამაშენი!... მაშ წავიდეთ ყანთარზედ, ფუთში აბაზი მოგცე.

გ ლ ე ხ ი. ფუთობით შეშა ვის გაუგონია?—ლებუა ხო არ არის? თუ გინდა ეს არის,—ნაკლებ არ იქნება....

ვ ა ჭ ა რ ი (გულ მოსული). ტო, ახმახ!.. თვრამეტი მანათის დარიჩინი რომ ვიყიდო, ერთი ურემი გამოვა!... გირვანქ ორ აბაზათ არი.

გ ლ ე ხ ი (ვაჭარს). ვერა ჰხედავ, ალავ, რომ სულ თეთრი რცხილა არის?... მერე როგორი დადებულია!...

ვ ა ჭ ა რ ი. თეთრია, თუ შავია, ხომ შეშაა?... ზაფრანა ხომ არ არის?

გ ლ ე ხ ი (ჩაფიქრდება; მერე ვაჭარს). თუ გინდა, ალავ, რა გაეწყობა, თექსმეტ მანათათ მიირთვი.

ვ ა ჭ ა რ ი (გულ მოსული). ყურუმსალო, ერთი მაღლაც აიხედე, და!... ღმერთი აღარ არის?...

გ ლ ე ხ ი (გაჯავრებით). ყურუმსალიცა ხარ და არამზადაც!... იქით გაიარე, თორემ, ასეთ სახრეებს ვითავაზებ, რომ შენცა თქვა, რა დამემართაო!...

ვ ა ჭ ა რ ი (გაფიცხებული, მაღლა ლაპარაკით). ვა!... ვერა ხედავთ, რა ბრიაბრუთა მხდის?!. (გლეხს) მითავაზებ, განა ალა-ალა არის?... არ იცი მე გილდიაში ვარ?...

გ ლ ე ხ ი ეხლაც ხომ თათრობა აღარ არის, შვილოსა!... მე შენი გილდი-გილდისა არა ვიცი რა... თქვენ რატო აღარ იცით ღმერთი, რომ ოთხ აბაათ მარილი იყო და ახლა თორმეტ აბ.ზათ ჰყიდით?.. ჩვენ, შვილოსა, კემწიფეს ვემსახურებით, ქვეყანასა, ჯარსა, ჯამაათსა, ცოლშვილსა, მიწის პატრონსა.... ახლა ლესნიჩიო, ახლა კიდევ რაღაც თითო ბლავანი გვყავდა, სულ ჭირმა გაგვიწყვიტა და შენ კი იძახი ღმერთი აღარ იციო!!.. აპა ჩემს ხელებს შაჰხედე?—მეჭეჭებითა მაქვს სავსე... ოხი დღეა, ამ სიცივეში, ე ურემს ვეჯაჯგურები, აი!.. შენ კი იძახი: „ასე და ისეო“...

ვ ა ჭ ა რ ი (მოსცილდება და მიდის ბუტბუტით). ყურუმსალი!.. გილდის კუპეწს რეებს მეუბნება!.. მებრალება, თორემ წავათრევდი სუდში....

თ. რაფიელ ერისთავი

— რათა, როგორა?

— რაღა როგორა, შენი ჭიიმე; ამოტენა კაცი შევქნილვარ და, ეალლაჰ, არსად მინახავს ამისთანა სიძვირე; სიძვირესაც ჯანი გავარდეს, კაცი არ ინაღველის, თუ რომ იშოვებოდეს რამე: აგერ მთელი დღეა დავეხეტებით და ერთი მუჭა ბზე თუ ქერი ვერ გვიშოვნია ვერსადა, რომ მიუშვიროთ ჩვენს ცხენებს და ეაჭამოთ! არ ვიცით, რა წყალში ჩავარდეთ! ნეტავი ერთი მალე გაგგზავნიდნენ უარსისკენ: იქმნება იქითკენ იშოვებოდეს რამე თორემ აქ რა გვეშველება! (ჩემ გულში ვსთქვი: აბა იქით ნახამთ სწორეთ უბედურებასა!). აბას თავი დავანებოთ, შენი ჭიიმე, აგერ ეს ოთხი დღეა, რაც რომ მოვსულვართ აქ, და სახლს ვინა ჩვენის, შენი ჭიიმე, ფიჩხი რა არის, ფიჩხი ბილა ვერ გვიშოვნია ამ ოხერ ქალაქში, რომ ღამღამით ავანთოთ გარეთ მაინც ხოლმე ცეცხლი და მოვითბოთ ეს გაყინული დალოკავილი ჩვენი ხელები!.

მე მათის საცოდაობით დიდხანს ველარ დავდექი და გაუდექ ჩემს გზასა. სამი ოთხი ნაბიჯი რომ გადავდგი, მომესმა ხმა:

— ბატონო, ბატონო, შენი ჭიიმე, პატარა კიდევ მოგვიცადე: ერთი რამე უნდა დაგეკითხოთ.

— აბა რა?

— ესა, ბატონო, რომ სწორეთ აგერ ეს ოცი დღეა, რაც მოვდიოდით ახალქალაქიდგან ამ ტიელ ბუმრჩი; ხომ მოგეხსენებათ, რომ იქიდგან აქამდინ ბევრი, ბევრი, სამი დღის მანზილი იყოს ზამთარჩი. მაგრამ ჩვენი უბედურებით, შენი ჭიიმე, ბუქები იყო საშინელი, გზები შეგვიკრა თოვლმა და მოვენწყვეთ სამ ადგილას ხუთ-ხუთი დღე. ჩვენ ვაპირებდით წამოსვლას ხომე, ჰმა სოფლის ტარჩინები არ გვიშვებდნენ, და ახლა არ ვიცით, მოგვიჭრიან ამ დაგვიანებულ დღეებისათვის თუ არა ფულსა, გეკითხებით შენი ჭიიმე?

მე ვუპასუხე, „რომ თუ მოგთხოვეს რამე საბუთი დაგვიანებაზედ, მაშინ თქვენ თავს გასამართლებლად უნდა იმ სოფლიდგან, სადაც შინიდგან, უნდა აიღოთ ბარათი ანუ მოწმობა, რომ თქვენ მართლა ამთენი და ამთენი დღე ბუქისა და უგზოობისა გამო მოვენწყვედით იქა, და ეს ბარათი აჩვენეთ თქვენ ფოდრადჩიკებსა, მეთქვი.

ახლა ვინგარიშოთ, რა უნდა დარჩეს იმ დღიურ ჭრელ მანეთიდგან ამ საწყალ ჩალვადრებსა: მერკა ქერი 1 მ. 20 კ. არის, ბზე პატარა ტომარა 60 კ, გირვანქა პური 6 კ. მესამედი ქერი ხსენებული მერკისა რომელიც უნდა მისცეს დღეში ცხენსა ღირს 40 კ., ნახევარ ტოფრაკი ბზე 30 კ., პური სამი გირვანქა 20 კ.,—სულ: ქერი, ბზე და ცარელა პური უჯდება აქ და არა გარეთ 90 კაპ. მაშ ჭსჩანს ჩვენ ჩალვადარს ჭრელ ვანეთიდგან კიდემ რჩება დღეში 10 კ, რომელიც თვეში შეადგენს 3 მანეთს, ხოლო სამ თვეშე 9 მანეთს!.

ბ. ზ — ძე

ზემო-იმერეთი, 20 თებერვალს. ვგონებ, არც ერთ მხარეს არ მიცემია ჩვენში იმდენი ზარალი ომის გამოისობით, გარდა იმ ადგილის მცხოვრებლებთა, სადაც იყო, რამოდენიც ჩვენს ღატაკ გლეხებს მიეცათ.

პირველიდ მილიციონერების გამოყვანა თითეულ გლეხს თითქმის სამ-სამი მანეთი დაუჯდა. ჭრთამი და სხვა ამისთანა ხარჯი კიდევ სხვა იყო. მეორეთ მოვიდა ბრძანება მილიციონერების გამოყვანისა და მაშინაც დიდი ზარალი ნახა ხალხმა.

ახლა კენჭის ყრა გათავდა, და უნდა სთქვას მალთალი კაცმა, სინიდისიანათ; მაგრამ მილიციონერებისთვის ფულის მოგროვებამ მეტის-მეტად გაუჭირვათ-საქმე ხალხს. უკანასკნელი საქაბე და სამუშეველი იარაღი წაართვეს გლეხებსა და მუშაობა რომ უნდოდეს, ველარაფრით იმუშავებენ. ზოგან ეუბნებიან: თქვენის ხარჯით უნდა შემოსოთ და შეიარაღოთ და რამდენიმე თვის საგძალიც უნდა გაატანოთო. დანიშნეს ფულების მოსაგროვათ ხუთი-ექვსი კაცი საზოგადოებაში. სოფლებში ხურება არის საშინელი და აღარც ამისთანა გაჭირვებულებს ტოვებენ, ამათაც ართმევენ, თუ ნებით არა, ძალით ფულს...

ჩვენებურმა ხალხმა ძლიერ კარგად ეაიგო—თუ რამოდენა ხალხი იმსხვერგლა ციხის-ძირის აღების სურვილმა და პისაც თხოულობენ ეხლა, ყველას ისე გონია—თუ უთუოთ ციხის-ძირზე წაიეანებენ და იქ მიაკვლნენ! ამისთვის აღარაფერს ზოგვენ საწყლები, თუ ვინმე ბადალი იშოვეს და თავის მაგიერ ფულით გაგზავნეს. ბლეი, რომელსაც ფულის მოხერხება არა აქვს, ჰყიდის ყველაფერს, ვალში ვერდება და ქირაობს კაცსა თავის მაგიერ. უეზდის უმფროსი, როგორც ამბობენ, კიდევ პირობას ადებინებს, რომ ვინიცობა არის და გაიქცეს მისი ბადალი, მის მაგიერ თავის შვილი გაგზავნოს ისევე.

არის ერთი უბედურება, ხალხის შეწუხება რომლისთანა აქ არასოდეს არ ყოფილა. და ამისთანა უბედურობის დროს ხალხი თავგაშვე ულია და მათ პატრონი ! აღარ ჰყავსთ. სოფლის მოხელეები თავისუფლად იქცევიან.

ვინ იცის, იქნება ომიანობა შესწყდეს და ეს გლეხები ტყუვილა-უბრალოთ დარჩენ დავალიანებულები ამდენი ფულის გარდახდით. მიკვირს, რათ აძლევენ ამისთანა წინადადებაებს უფროსები ხალხს და თითო მილიციონერს 50—100 მანეთამდე ატანებენ. ნუ თუ ომის გაგრძობისათვის ფული სრულებით აღარ არის, რომ ისინი შეიარაღონ და ტანფეხი ჩააცვან? მართალია, ყველა ვალდებულია შეეწიოს რამდენიმე მანეთით ომის ხარჯს, მაგრამ ცოტა გროვდება განა ამისთანა შესაწეეარი ფულები! აქ ამას წინეთ ძალით პრიღოვორებს ადგენინებდნენ გლეხებს, ჩვენი ფულით დაუნიშნონ მილიციონერებს ექიმი და ლოზპიტალიც გაუხსნანო...

შორაპანელი

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, რომ ოსმალეთის ჯარების დამარცხებამ და განსაკუთრებით სასტიკ პირობებმა შერიგებისამ ისეთ ნაირად დააღონა და დასცა ხონთქარიო, რომ კაცი ველარ იცნობსო. დოქტორები ამბობენ თურმე, რომ სხვა-და-სხვა ზნეობით მღელვარეების გამო, სულთანი ძალიან დასუსტებული არისო და შეიძლება ამ გარემოებას ცუდი შედეგი ექმნეს იმის ჯანმთელობაზედაო.

სხვაია შორის, სულთანის ამ ზნეობით დავარდნას მიაწერენ ზოგიერთები, რომ ის ყველაფერზე ეთანხმება რუსეთს, ყველა პირობები თითქმის ხმა-ამოუღებლად მიიღო.

— დიდი სამდურავი ისმის თურმე ოსმალეთის ხალხში ინგლისზედ, იმან წაგვაქეზა, მოგვატყუა, მოგეხმარებითო, თორემ მარტო ჩვენ რუსეთთან და იმის მომხრეებთან ბრძოლას არ დავიწყებდით თავიდამვე რასმეს დაუთმობდით და ამ უბედურებას ავიცილებდით თავიდამაო.

— გაზეთის „Indép. Belge“-ის კორრესპონდენტის სიტყვით, სტამბოლიდამ ძალიან ბევრი ხალხი მკირე აზიაში გაქცეულა, რადგან არ უნდათ თავის თვალით ნახონ სტამბოლში შემოსული „ბიაურებიო“.

რუმინია

გაზეთს „Polit. Corresp.“-ში იწერებიან ბუხარესტიდამ, რომ რუმინიის მთავარი ბუხარესტიდამ, რომ რუმინიის მთავარმა კარლომ გამოაცხადაო, რომ, თუ ვარმა კარლომ გამოაცხადაო, რომ, თუ ეს ომი ეს ომი ეუბველად რუმინიას ბესარაბია, რუსებმა წაართვეს რუმინიის ტახტიდამ ხელს ის უეუბველად რუმინიის ტახტიდამ ხელს ის ომი ეუბველად რუმინიის ტახტიდამ ხელს ის ომი ეუბველად რუმინიის ტახტიდამ ხელს ის ომი ეუბველად რუმინიის ტახტიდამ ხელს ის ომი ეუბველად რუმინიის ტახტიდამ ხელს ის ომი ეუბველად

— ზემოხსენებულივე გაზეთის კორრესპონდენტი ამბობს, რომ ოსმალეთზე უფრო უკმაყოფილოდ ამ ჟამად რუსებზედ არიან რუმინებიო. თუ არ ძალით, ისინი, როგორც ეტყობა, თავის ნებით არასოდეს არ დათანხმდებიანო, რომ რუსეთს დაუთმონ ერთი საუკეთესო ნაწილი თავის მიწისა—ბესარაბია.

უბედურება ეს არის, რომ არც რუსეთს მიაქვს უკან ერთხელვე გამოცხადებული თავის ძოთხოვნილება, როგ ბესარაბია იმას უნდა დაეთმოს. კორრესპონდენტის სიტყვით, რუმინები კონგრესიდან მოელიან ამ დავის იმათ სასარგებლოდ გადაწყვეტას.

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილას 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ოპერაციებს; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლიტსიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მაკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., მიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის,

ხუთშაბათს: ვერმიშევი-შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და—ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათფმყოფი., მიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობის.

ახალი ტაქსა გირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქირის და თივის სიძვირე დაამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დ რ ო ე ბ ი თ ი ტ ა ქ ს ა.

	ფაეტონის	დროჟკის
ერთი გზა	40 კაპ.	25 კაპ.
საათი	80 „	55 „
ქალაქიდამ—ნავთლუღს	80 „	50 „
— მუშტაიდამდინ —	60 „	45 „
— მუშტ. და უკან ½ საათი გაჩერება	1 მან. 20 „	90 „
რკ. გზიდამ ნავთ.—	2 „ — „	1 მან. 50 „
—დამოჟანამდინ—	1 „ 50 „	1 „ — „
—ქალაქ. ყველგან	1 „ — „	— „ 70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.—	„ 80 „	— „ 50 „
— ნავთლუღიდამ	1 „ 50 „	1 „ — „
რკინის გზამდინ და უკან — —	—1 „ 30 „	— „ 90 „

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ა). ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ბ). ნაშუაღამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

განცხადებანი

კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისაგან

რადგან ხშირად მოგვდის ხვა და სხვა პირებისაგან თხოვნა; რომ გვ'ურს ყარაიაზის მამული ვიყიდოთო, ამის გამო საჭიროდ ვრაცხთ საქვეყნოთ გამოვაცხადოთ რომ 16,000 დესიატინიდამ ამ მამულის I განყოფილებაში კიდე დარჩენილია გაუყიდავი ქვე-მოხსენებული უჩასტკები, რომელნიც მომეტებული ნაწილი სარწყავი მამულებია.

გაყიდვის პირობა და ფასი უჩასტკებისა ისევ **ძველი რჩება.**

ვისაც ამ მამულების შეძენა ჰსურს და დაწვრილებითი პირობების შეტყობა, შეუძლიან მიმართოს ხსენებული საზოგადოების კანცელარიაში, ბანოვის ქუჩაზე, სახლი №7, ანუ ყარაიაზის გამგებელთან ივანე სტეფანეს ძეს ხატისოვთან—თფილისში, ლაბარატორიის ქუჩაზე, №15.

გასასყიდი უჩასტკები:

არხი	უჩასტკა	დესიატინა
3 — — —	№ 5 — — — —	44
4 —	№№ 6,7,8 და 9 —	457
5 —	„10,11,12,13,14 და 15 —	547
6 — — —	18 და 20 —	100
7 — — —	27 — — —	51
9 — — —	41 — — —	131
10 — — —	47 — — — —	50
11 — — —	53 და 58 — —	170
14 —	8186 — — —	584
15 — —	87—დამ 95—მდინ	950
16 —	101,102 და 103 —	450
16 — —	110—დამ 115—მდი —	750
ჭანდარის არხზედ	104—დამ 107—	500
სულ — — —		4,784 დესიატინა.

გამოვიდა და ისყიდება „ცოლი ვიტირო, თუ ნეშო?“ კომედია ალ. [illegible]

ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ კუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის ბუფეტში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჰანეზოვთან და სვ. ცერვაძესთან ფოთში—ელისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, გორში—სტ. ზომოევთან და თვითონ ავტორთან.

სალამური.

ანუ ლექსთა კრება.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძესი.

ფასი ორი შაური.

თფილისში ე. ხელაძის. სტამბაში, და ქუთაისში, ი. მესხთან.

აბრაშუმის ჭიის თესლი (კვერცხი) იტალიის მოდგმისა, სალი ისყიდება **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების** სადგომში (ალექსანდროვის ბაღში, უფ. მირსკის პირ-და-პირ).

ფასი თითო მისხლისა **ექვსი შაური** ერთს კაცს 10—15 მისხალზე მეტი არ მიეყიდება.

სტუდენტს ჰსურს აძლიოს უროკები დაბალ კლასებში მოსამზადებლად.

ადრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება. (5—5)

ისყიდება
უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ეშმაკის ხარო
მდაბიური ამბავი
ალ. სა. მესხიევისა.
გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.
ფასი ერთი შაური

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
აბ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . . .	9	13						
აბ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	·	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის აქენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა	მან.	კაპ
პეტერბურგი, 23 თებერ.		
ერთი ქაღალდი ღირს:		
ლონდონში 23 პენსი.		
პარიჟში 271 სანტიმი.	—	78
ესკონტი (სარგებლისფასი)	—	62
ბანკის ბილეთი 5%	7½	—
მოგებიანი (პირველის ს	96	½
მოგებიანი (მეორე სესხი)	236	50
	235	—
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.	–	—
ხერსონის ბანკი	83	25
მოსკოვის . .	83	50
ოქრო ½ იმპერიალი. .	7	51
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემებ.ს	527	—
კავკაზის და მერკური .	225	—
პირვ. საზღვევ. საზ. გ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	–

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 23 თებერ.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	60
ფქვილი წითელი . .	1	40
ქერი ფუთი . . .	1	35
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
— ამერიკისა, ფუთი . .	7	60
გაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფთ.	8	50
—თარაქამისა ფთ. .	4	40
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	6	50
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	14	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა .	—	90
სპირტი, გრადუსი .	—	15
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	80
— ფხვნილი ფუთი . .	8	40
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	50
თამბაქო, საშუალო ფუთი	7	80

Дозволено цензурою Тифлисъ, 23 Февраля 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორ ს. მესხი.